

● კატალოგი ●

სანერგე მეურნეობა



საქართველოს ეროვნული
ბოტანიკური ბაღი



საქართველოს ეროვნული
ბოტანიკური ბაღი

სანერგე მეურნეობა

კატალოგი



დასახელება



ზომა



Buxus balearica
ბალეარის ბუჩქი
თჯახი - ბზისებრნი

• 0.8-1.0 მ

სამშობლო - ბალეარის კუნძულები, ესპანეთი, სარდინია. 10-15 მეტრამდე სიმაღლის მარადმწვანე ფოთლოვანი ხეა. კარგად იზრდება ნახევრადჩრდილში. უპირატესობას ანიჭებს ღრმა და ნოყიერ ნიადაგებს. მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად (კალმით). კარგად იტანს კრეჭას (ფორმირებას), შეიძლება გამოვიყენოთ ცოცხალ ღობედ.



Thuja occidentalis
დასავლეთის ტუია
თჯახი - კვიპაროსისებრნი

• 0.5-0.8 მ

სამშობლო - ჩრდილოეთ ამერიკა, კანადა. 10-15 მეტრამდე სიმაღლის მარადმწვანე წიწვოვანი ხეა. კარგად იზრდება მზიან, ნათელ ადგილებში და ნახევრადჩრდილში. უპირატესობას ანიჭებს ღრმა, ტენიან და ნოყიერ ნიადაგებს. მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად (კალმით). კარგად იტანს კრეჭას (ფორმირებას), შეიძლება გამოვიყენოთ ცოცხალ ღობედ.



Buxus sempervirens f. nana
ევროპული ბუჩქი ფორმა ნანა
თჯახი - ბზისებრნი

• 0.1-0.5 მ

სამშობლო - ევროპა, ჩრდ. აფრიკა, მცირე აზია. ერთ მეტრამდე სიმაღლის მარადმწვანე ფოთლოვანი ბუჩქია. კარგად იზრდება ჩრდილში და ნახევრადჩრდილში. უპირატესობას ანიჭებს ღრმა და ნოყიერ ნიადაგებს. მრავლდება ვეგეტატიურად (კალმით).



Aucuba japonica variegata
იაპონური აუკუბა ჭრელფოთოლა
თჯახი - შინდისებრნი

• 0.2-0.4 მ

სამშობლო ჩინეთი, იაპონია. 4-5 მეტრამდე სიმაღლის მარადმწვანე ფოთლოვანი ბუჩქია. კარგად იზრდება ჩრდილში და ნახევრადჩრდილში. უპირატესობას ანიჭებს ღრმა და ნოყიერ ნიადაგებს. მრავლდება ვეგეტატიურად (კალმით).



Euonymus japonica
იაპონური ჭანჭყატი
ოჯახი - ჭანჭყატიანებრნი

● 0.6-1.0 მ

სამშობლო - იაპონია. 3-4 მეტრამდე სიმაღლის მარადმწვანე ფოთლოვანი ბუჩქია. კარგად იზრდება ჩრდილში და ნახევრადჩრდილში. უპირატესობას ანიჭებს ღრმა, ტენიან და ნოყიერ ნიადაგებს. მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად (კალმით). კარგად იტანს კრეჭას (ფორმირებას), შეიძლება გამოვიყენოთ ცოცხალ ღობედ.



Berberis juliane
იულიას კონახური
ოჯახი - კონახურისებრნი

● 0.3-0.5 მ

სამშობლო - ჩინეთი. 3 მეტრამდე სიმაღლის მარადმწვანე ფოთლოვანი ბუჩქია. კარგად იზრდება მზიან, განათებულ ადგილებზე. ნიადაგების მიმართ ნაკლებად მომთხოვნია. მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად (კალმით). კარგად იტანს კრეჭას (ფორმირებას), შეიძლება გამოვიყენოთ ცოცხალ ღობედ.



Tilia caucasica
კავკასიური ტაცხვი
ოჯახი - ტაცხვისებრნი

● 0.8-1.2 მ

სამშობლო - კავკასია, ევროპა, მცირე აზია. 25 მეტრამდე სიმაღლის ფოთოლმცვენი ხეა. კარგად იზრდება მზიან, ნათელ ადგილებში და ნახევრადჩრდილში. უპირატესობას ანიჭებს ღრმა, ტენიან და ნოყიერ ნიადაგებს. მრავლდება თესლით.



Cupressus sempervirens f. pyramidalis
მარადმწვანე კვიპაროსი პირამიდალური ფორმა
ოჯახი - კვიპაროსისებრნი

● 1.5-2.0 მ

სამშობლო - მცირე აზია ირანი. 25-30 მეტრამდე სიმაღლის მარადმწვანე წიწვოვანი ხეა. კარგად იზრდება მზიან, ნათელ ადგილებში. უპირატესობას ანიჭებს ღრმა, ფხვიერ და საშუალო ტენიანობის ნიადაგებს. მრავლდება თესლით.



Cupressus sempervirens f. horizontalis
მარადმწვანე კვიპაროსი ჰორიზონტალური ფორმა
ოჯახი - კვიპაროსისებრნი

● 2.5-3.0 მ

სამშობლო - მცირე აზია ირანი. 25-30 მეტრამდე სიმაღლის მარადმწვანე წიწვოვანი ხეა. კარგად იზრდება მზიან, ნათელ ადგილებში. უპირატესობას ანიჭებს ღრმა, ფხვიერ და საშუალო ტენიანობის ნიადაგებს. მრავლდება თესლით.



Nerium oleander
ოლეანდრი
ოჯახი - გველისსუროსებრნი

● 0.4-0.6 მ

სამშობლო - ჩრდ. აფრიკა, სამხრეთ ევროპა. 4 - 5 მეტრამდე სიმაღლის მარადმწვანე ფოთლოვანი ბუჩქია. კარგად იზრდება მზიან, ნათელ ადგილებში. უპირატესობას ანიჭებს ღრმა, ფხვიერ და საშუალო ტენიანობის ნიადაგებს. მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად (კალმით). ზამთარში სასურველია შეიფუთოს, თუ ტემპერატურა -10°C -ზე დაბლა დაიწვეს.



Hibiscus syriacus
სირიის ვარდი
ოჯახი - ბალბისებრნი

● 0.8-1.0 მ

სამშობლო - ჩინეთი, კორეა. 5-6 მეტრამდე სიმაღლის ფოთლმცვენი ბუჩქია. კარგად იზრდება მზიან, ნათელ ადგილებში და ნახევრადჩრდილში. უპირატესობას ანიჭებს ღრმა, ტენიან და ნოყიერ ნიადაგებს. მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად (კალმით). კარგად იტანს კრეჭას (ფორმირებას).



Taxus baccata v. fastigiata
უთხოვარი პირამიდალური ფორმა
(მრავალღეროიანი)
ოჯახი - უთხოვარისებრნი

● 1.4-1.8 მ

სამშობლო - ევროპა. 3-4 მეტრამდე სიმაღლის მარადმწვანე წიწვოვანი ბუჩქია. კარგად იზრდება ჩრდილში და ნახევრადჩრდილში. უპირატესობას ანიჭებს ღრმა, ტენიან და ნოყიერ ნიადაგებს. მრავლდება ვეგეტატიურად (კალმით).



Trachycarpus fortunei
ფორტუნის პალმა
ოჯახი - პალმისებრნი

• 1.0-1.5 მ

სამშობლო - აღმ. აზია. 10-12 მეტრამდე სიმაღლის მარადმწვანე ხეა. კარგად იზრდება მზიან, ნათელ ადგილებში და ნახევრადჩრდილში. უპირატესობას ანიჭებს ღრმა, ტენიან და ნოყიერ ნიადაგებს. მრავლდება თესლით.



Cotoneaster henryana
ჰენრის სირვაშლა
ოჯახი - ვარდისებრნი

• 0.3-0.4 მ

სამშობლო - ჩინეთი. 5 მეტრამდე სიმაღლის მარადმწვანე ფოთლოვანი ბუჩქია. კარგად იზრდება მზიან, განათებულ ადგილებში და ნახევრადჩრდილში. ნიადაგების მიმართ ნაკლებად მომთხოვნია. მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად (კალმით).



● კატალოგი ●

ტროპიკულ მცენარეთა
ორანჟერია



საქართველოს ეროვნული
ბოტანიკური ბაღი



საქართველოს ეროვნული
ბოტანიკური ბაღი

ტროპიკულ მცენარეთა ორანჟერია

კატალოგი

დასახელება

ზომა



Abutilon hybridum
აბუტილონი ჰიბრიდული
ტაბახი - ბალბასებრნი

• 15-30 სმ.

სამშობლო - ბრაზილია. აბუტილონი 2 მეტრამდე სიმაღლის, მრავალწლოვანი, მარადმწვანე, ყვავილდეკორატიული ნახევრად ხე ან ბუჩქია. ჩაქინდრული ფორმის ყვავილები, ნარინჯისფერი, ვარდისფერი და სხვა შეფერილობისაა. ზამთარში ტემპერატურა 10°C-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. მრავლდება თესლით, კალმით და ამონაყარით.



Agave Americana
აბავა ამერიკული
ტაბახი - აბავაცესებრნი

• 10-20-30 სმ.

სამშობლო სამხრეთ ამერიკა, მექსიკა და კარიბის ზღვის კუნძულები. ყვავილობს 10-15 წლის ან 20-30 წლის ასაკის. სინათლისა და სითბოს მოყვარულია. ყვავილობის დამთავრების შემდეგ დედა მცენარე იღუპება. 1 წლის მცენარე 5 სმ სიმაღლისაა. მრავლდება შვილეული ამონაყრებით.



Aglaonema modestum
აგლაონემა მშვანე
ტაბახი - ნიუპასებრნი

• 20-30-40 სმ.

აგლაონემა გავრცელებულია ინდოჩინეთსა და მალაის არქიპელაგის ნოტიო ტროპიკულ ტყეებში. 40-50 სმ სიმაღლის, გართხმული ფორმის ბალახოვანი, მარადმწვანე, ფოთოლდეკორატიული მცენარეა. კარგად იზრდება განათებულ და ნახევრად ჩრდილ ადგილებში. ყვავილობს ყოველწლიურად მუქი მოსალათისფრო ტაროსებრი ყვავილებით. ზამთარში ტემპერატურა 12° -ზე ნაკლები არ უნდა იყოს. მრავლდება თესლით, ღეროსეული კალმებით და ბუჩქის დაყოფით.



Aglaonema Silver king
აგლაონემა სამეფო
ტაბახი - ნიუპასებრნი

• 20-30-50 სმ.

გავრცელებულია აღმოსავლეთ ინდოეთში და მალაის არქიპელაგზე. 50 სმ სიმაღლის მრავალწლოვანი მარადმწვანე, ფოთოლდეკორატიული მცენარეა. ყვავილი ტაროა. სითბოს, სინათლის და ტენის მოყვარული მცენარეა. ზამთარში ტემპერატურა 10°C-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. ვერ იტანს მზის პირდაპირ სხივებს. მრავლდება ვეგეტატიურად - კალმით და ბუჩქის დაყოფით.



Arum odorum
არმა სურნელოვანი
ოჯახი - ნიუპასებრნი

• 30-50-150 სმ.

სამშობლო - ჩინეთი. არმა 3 მეტრამდე სიმაღლის, მრავალწლოვანი, მარადმწვანე, ფოთოლ და ყვავილდეკორატიული მცენარეა ტაროსებრი ყვავილი თეთრია, სინათლის, სითბოს და ტენის მოყვარულია. ზამთარში ტემპერატურა 12°C-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. მრავლდება დაყოფით, ამონაყრით, კალმით და თესლით.



Beloperone guttata
ბელოპერონე წვეთური

• 20-30 სმ.

გავრცელებულია აზიასა და აფრიკის ტროპიკულ სარტყელში. ყვავის მთელი წლის განმავლობაში. სინათლის, სითბოს მოყვარული, მრავალწლოვანი, ყვავილდეკორატიული ბალახოვანი მცენარეა. სწრაფმზარდია, მერყეობს 15 სმ-დან 50 სმ-მდე. ზამთარში ტემპერატურა 10°C-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. მრავლდება თესლითა და კალმით.



Billbergia nutans
ბილბერგია ჩაქინდრული
ოჯახი - ბრომელიასებრნი

• 30-35 სმ.

სამშობლო: სამხრეთ ამერიკა. ბილბერგია 30-40 სმ სიმაღლის, მრავალწლოვანი, მონოკარპული მცენარეა. ინვითარებს გრძელ, თანაყვავილედზე ჩამოკიდებულ, ვარდისფერ, ცისფერ ან სალათისფერ ყვავილებს. ყვავილობს თითქმის მთელი წლის განმავლობაში. სინათლის მოყვარულია. ვერ იტანს პირდაპირი მზის სხივების მოქმედებას. ზამთარში ტემპერატურა 15°C-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. მრავლდება: თესლით, ამონაყრით.



Dracaena fragrans
დრაცენა სურნელოვანი
ოჯახი - დრაცენასებრნი

• 25-40 100 სმ.

სამშობლო დასავლეთ-აღმოსავლეთ აფრიკა. 2-3 მ სიმაღლის მრავალწლოვანი, ფოთოლდეკორატიული მცენარეა. მოთეთრო სურნელოვანი ყვავილები შეკრებილია საგველა ყვავილედებად. სინათლის და სითბოს მოყვარულია, თუმცა კარგად ეგუება ნახევრადრდილსაც. მზის პირდაპირ სხივებს ვერ იტანს. ზამთარში ტემპერატურა 12-14° -ზე ნაკლები არ უნდა იყოს. მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად (ბუჩქის დაყოფით, კალმებით).



Euphorbia splendens
ეუფორბია მშვენიერი
თჯახი - რძიანასებრნი

• 10-20-40 სმ.

სამშობლო მადაგასკარი. 1 მ სიმაღლის, მრავალწლოვანი, მარადმწვანე, ფოთოლ და ყვავილდეკორატიული, ქსეროფიტი მცენარეა. მონაცრისფრო ეკლიან ღეროზე განლაგებულია წითელი ან ყვითელი ყვავილები. ყვავის მთელი წლის განმავლობაში. რძისებრი წვენი შხამიანია. სინათლის და სითბოს მოყვარულია. 10-14 ° -ზე მეტ ტემპერატურას არ უნდა აღემატებოდეს.



Justicia velutina
იუსტიცია ველუტინა

• 20-30-50 სმ.

სამშობლო ბრაზილია. იუსტიცია 1 მ სიმაღლის, მრავალწლოვანი ლამაზად მოყვავილე მცენარეა. ყვავის ზაფხულში. ზამთარში ტემპერატურა 12° -ზე ნაკლები არ უნდა იყოს. ტენის, სითბოს და ნახევრად ჩრდილის მოყვარულია. მრავლდება თესლით, კალმით და ბუჩქის დაყოფით.



Kalanchoe daigremontiana
კალანხოე ცოცხალმშობი
თჯახი - მსუქანასებრნი

• 20-40 სმ.

სამშობლო მადაგასკარის კუნძულები. კალანხოე 1 მ სიმაღლის, მარადმწვანე, მრავალწლოვანი, ცოცხალმშობი მცენარეა. თითოეული ფოთლის დაკბილვაზე ვითარდება პატარა შვილეული მცენარეები, რომელიც ადგილად ცვივა და ნიადაგში მოხვედრისას იწყებს განვითარებას. სინათლის და სითბოს მოყვარულია. ზამთარში ტემპერატურა 12° -ზე ნაკლები არ უნდა იყოს. მრავლდება ვეგეტატიურად - კალმით.



Clivia miniata
კლივია მონითალო
თჯახი - ამარილისებრნი

• 20-30-40 სმ.

გავრცელებულია სამხრეთ აფრიკაში. მარადმწვანე 50 სმ სიმაღლის მრავალწლოვანი ფოთოლ და ყვავილდეკორატიული მცენარეა. ყვავილობს თითქმის მთელი წლის განმავლობაში. ზამთარში ტემპერატურა 8° -ზე ნაკლები არ უნდა იყოს. სინათლის, სითბოს და ტენის მოყვარულია. მრავლდება თესლით და ამონაყრით.



Crassula arborescens
კრასულა ხისებრი
ოჯახი - მსუქანასებრნი

• 10-20-30 სმ

სამშობლო სამხრეთ აფრიკა. კრასულა 2 მ სიმაღლის, მრავალწლოვანი, მარადმწვანე, სუკულენტური მცენარეა. უყვარს განათებული მშრალი ადგილები. თეთრი ყვავილები უვითარდება ღეროს კენწეროში. ყვავის იშვიათად. მრავლდება ფოთლით და კალმით.



Monstera deliciosa
მონსტერა მომხიბვლელი

• 40-50 სმ.

გავრცელებულია ამერიკის ტროპიკულ ტყეებში. მონსტერა 10 მ სიმაღლის, მარადმწვანე, ფოთოლ და ყვავილდეკორატიული მცენარეა. ყვავის ყოველწლიურად. ყვავილი თეთრი ფერისაა. ზამთარში ტემპერატურა 10° -ზე ნაკლები არ უნდა იყოს. სინათლის და სითბოს მოყვარულია. კარგად ეგუება ნახევრად ჩრდილსაც. მრავლდება თესლით და ღეროსეული კალმებით წლის ყველა პერიოდში.



Nephrolepis exaltata
ნეფროლეპისი ამაღლებული
ოჯახი - ნეფროლეპიდასებრნი

• 40-50 სმ.

ნეფროლეპისი გავრცელებულია ტროპიკულ ტყეებში. მრავალწლოვანი, მარადმწვანე, ბალახოვანი ფესურიანი მცენარეა. გვხვდება გრძელფოთლიანი ხუჭუჭა ფორმის და სხვადასხვა სიგრძის ფოთლიანი გვირგვინები. სინათლის, სითბოს და ტენის მოყვარულია, არ უყვარს პირდაპირი მზის სხივების მოქმედება. ზამთარში ტემპერატურა 10° -ზე ნაკლები არ უნდა იყოს. მრავლდება ბუჩქის დაყოფით და სპორებით.



Callisia fragrans
ოქროს ულვაში
ოჯახი - კომელინასებრნი

• 10-20-30 სმ.

გავრცელებულია ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში. 2 მ-მდე სიგრძის, მრავალწლოვანი, ბალახოვანი მცენარეა. სითბოს და სინათლის მოყვარულია, თუმცა კარგად ეგუება ნახევრად ჩრდილსაც. ზამთარში ოპტიმალური ტემპერატურა არის 16°C. ყვავილები წვრილი და სურნელოვანია. მრავლდება თესლით, კალმით და შვილეული მცენარეებით.



Cyperus alternifolius
პაპირუსი ქოლგისებრი
თჯახი - ისლისებრნი

• 40-60-100 სმ.

სამშობლო მადაგასკარი. 2-3 მ სიმაღლის, მრავალწლოვანი, ბალახოვანი, ქაობის მცენარეა. მთელი წლის განმავლობაში ნოტიო მდგომარეობაში უნდა იყოს. უყვარს განათებული და ნახევრადჩრდილიანი ადგილები. მრავლდება თესლით, ვეგეტატიურად - ბუჩქის დაყოფით. ადვილად ფესვიანდება წყალში, ისე რომ ფოთლის ღერო იყოს წყლის ზედაპირის მაღლა, ხოლო ფოთლები წყალში მოთავსებული.



Pilea cadieri
პილეა ვერხლისფერი
თჯახი - ჭინჭრისებრნი

• 10-15-35 სმ.

სამშობლო ვიეტნამი. პილეა 40 სმ სიმაღლის, მარადმწვანე, ფოთოლდეკორატიული, ბალახოვანი მცენარეა. პატარა მოთეთრო-მოყვითალო ყვავილები ვითარდება ფოთლის ილიებში. სინათლის და სითბოს მოყვარულია, თუმცა ძალიან კარგად ეგუება ნახევრად ჩრდილსაც. ზამთარში 11° -ზე ნაკლები ტემპერატურა არ უნდა იყოს. მრავლდება თესლით და ღეროსეული კალმებით წლის ყველა პერიოდში.



Piper nigrum
პილპილი შავი
თჯახი - პილპილისებრნი

• 20-30-40 სმ.

სამშობლო ინდოეთი. შავი პილპილი 6-8 მ სიგრძის, მრავალწლოვანი, მარადმწვანე ლიანა მცენარეა. უყვარს განათებული ადგილი პირდაპირი მზის სხივების მოქმედების გარეშე. ზამთარში ტემპერატურა 12° -ზე ნაკლები არ უნდა იყოს. მრავლდება თესლით და ვეგეტატიურად (კალმებით).



Raphidophora decursiva
რაფიდოფორა მწვანე
თჯახი - ნიუკასებრნი ბართხმული

• 20-40 სმ.

სამშობლო სამხრეთ-აღმოსავლეთ ინდოეთი. მარადმწვანე, ფოთოლ და ყვავილდეკორატიული მცენარეა. ყვავის ყოველწლიურად. ყვავილი თეთრი ფერისაა. ზამთარში ტემპერატურა 10° -ზე ნაკლები არ უნდა იყოს. სინათლის და სითბოს მოყვარულია. კარგად ეგუება ნახევრად ჩრდილსაც. მრავლდება თესლით და ღეროსეული კალმებით წლის ყველა პერიოდში.



Ruellia makoyana
რუელია მაკოიანის

• 10-15-35 სმ.

გავრცელებულია ტროპიკულ და სუბტროპიკულ ამერიკაში. რუელია მრავალწლოვანი, მხოხავი, ბალახოვანი მცენარეა. ყვავის გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე. ზამთარში ტემპერატურა 10-12° -ზე ნაკლები არ უნდა იყოს. კარგად იზრდება გაფანტული სინათლის და დაჩრდილულ ადგილებში. მრავლდება კალმებით.



Sansivieria trifasciata
სანსივიერა კონაშეკრული
ოჭახი - აბავასებრნი

• 15-30-50 სმ.

სამშობლო დასავლეთ აფრიკა. სანსივიერა მრავალწლოვანი, მარადმწვანე, ფოთოლდეკორატიული მცენარეა. სურნელოვანი ყვავილი მოთეთრო სალათის ფერია. 25 სმ-დან 1,5 მ სიმაღლისაა. უყვარს განათებული ადგილები და არა პირდაპირი მზის სხივების მოქმედება. ვერ იტანს ცვალებად ტემპერატურას. მრავლდება ბუჩქის დაყოფით და ფოთლის კალმებით.



Setcreasea purpurea
სეტკრეაზა წითელი
ოჭახი - კომელენასებრნი

• 10-15 სმ.

გავრცელებულია ტეხასსა და მექსიკაში. სეტკრეაზა მრავალწლოვანი, ბალახოვანი, ფოთოლდეკორატიული, ნიადაგდამფარავი მცენარეა. ყვავილი წვრილი ვარდისფერია. სინათლის და სითბოს მოყვარულია. ზამთარში ტემპერატურა 8-10° -ზე ნაკლები არ უნდა იყოს. კარგად იტანს კრეჭვას. მრავლდება თესლით, კალმით და ბუჩქის დაყოფით.



Scindapsus aureus
სინდაფსუსი აურეუსის
ოჭახი - ნიუკასებრნი

• 20-40 სმ.

სამშობლო ინდოეთი. სინდაფსუსი 20 მ სიგრძის ლიანა (ამპელური) მცენარეა. სითბოს, სინათლის და ტენის მოყვარული. ზამთარში ტემპერატურა 14° -ზე ნაკლები არ უნდა იყოს. მრავლდება სადედე მცენარის დაყოფით და ღეროსეული კალმებით.



Spathiphyllum wallisii
სპათიფილუმი ვალისის
ოჯახი - ნიუკასებრნი

• 20-30 სმ.

სამშობლო ტროპიკული ამერიკა და ფილიპინების კუნძულები. 60-120 სმ სიმაღლის მრავალწლოვანი, მარადმწვანე ფოთოლ და ყვავილდეკორატიული ბალახოვანი მცენარეა. ყვავის უხვად. თეთრი ფერისაა. სინათლის, სითბოს, ტენის და ჩრდილის მოყვარული მცენარეა. ზამთარში ტემპერატურა 12-15° -ზე ნაკლები არ უნდა იყოს. მრავლდება თესლით და ბუჩქის დაყოფით



Stapelia gigantea
სტაპელია გიგანტური
ოჯახი - ღვედეკაციისებრნი

• 10-15სმ.

სამშობლო სამხრეთ აფრიკა. სტაპელია მარადმწვანე, მრავალწლოვანი, სუკულენტი, ლამაზად მოყვავილე 10-20 სმ სიმაღლის მცენარეა. ზამთარში ტემპერატურა 10-12° -ზე ნაკლები არ უნდა იყოს. სითბოსა და სინათლის მოყვარული მცენარეა. მრავლდება თესლით, ბუჩქის დაყოფით და ცალკეული სეგმენტებით.



Hedera helix (hybrid)
სურო ჩვეულებრივი
ოჯახი - არალიასებრნი

• 10-15-30 სმ.

გავრცელებულია ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, აზიასა და კავკასიაში. მრავალწლოვანი, მარადმწვანე, ნაყოფდევორატიული, ნიადაგდამფარავი, ლიანა მცენარეა. მისი სიგრძის დაკონკრეტება რთულია. ტენის მოყვარულია, მაგრამ გარკვეული პერიოდი იტანს გვალვასაც. მრავლდება თესლით, კალმით, გადაწვენით და ბუჩქის დაყოფით.



Tradescantia zebrina
ტრადესკანცია ზოლიანი
ოჯახი - კომელინასებრნი

• 10-15-სმ.

ტრადესკანცია გავრცელებულია მექსიკასა და ცენტრალურ ამერიკაში. მრავალწლოვანი, ფოთოლდეკორატიული, ნიადაგდამფარავი, ამპელური მცენარეა. ინვითარებს მოვარდისფრო პატარა ყვავილებს. სინათლის და სითბოს მოყვარულია, მაგრამ ეგუება ნახევრად ჩრდილსაც. ზამთარში ტემპერატურა 15° -ზე ნაკლები არ უნდა იყოს. მრავლდება კალმებით და ბუჩქის დაყოფით.



Ficus benjamina
ფიკუსი ბენჯამინის
ოჯახი - თუთისებრნი

• 30-40-150 სმ.

გავრცელებულია აზიის ტროპიკულ ნესტიან ტყეებში. ბენჯამინის ფიკუსი 15-30 მ სიმაღლის, მრავალწლოვანი, მარადმწვანე, ფოთოლდეკორატიული ხეა. სინათლის და სითბოს მოყვარული მცენარეა, თუმცა ძალიან კარგად ეგუება ნახევრად ჩრდილსაც. ზამთარში ტემპერატურა 12° -ზე ნაკლები არ უნდა იყოს. მრავლდება ვეგეტატიურად გასული წლის ღეროსეული კალმებით. იტანს კრეჭვას.



Ficus elastica
ფიკუსი კაუჩუკის
ოჯახი - თუთისებრნი

• 30-50-80 სმ.

სამშობლო აღმოსავლეთ ინდოეთი და ინდონეზიის კუნძულები. ფიკუსი 30 მ სიმაღლის, მარადმწვანე, მრავალწლოვანი, ფოთოლდეკორატიული ხეა, რომელიც არ ინვითარებს გვერდით ტოტებს. კაუჩუკის ხის დაბუჩქული ვარჯის მისაღებად ახალგაზრდა მცენარეს წვერი უნდა წაეჭრას. სინათლის და სითბოს მოყვარულია. ზამთარში ტემპერატურა 10-12° -ზე ნაკლები არ უნდა იყოს. მრავლდება ღეროსეული კალმებით.



Philodendron scandens
ფილოდენდრონი ბლაუჭა
ოჯახი - ნიჟასებრნი

• 20-50 სმ.

სამშობლო სამხრეთ ამერიკა. ფილოდენდრონი მრავალწლოვანი, ფოთოლდეკორატიული ლიანა მცენარეა. სითბოს და სინათლის მოყვარულია. ზამთარში ტემპერატურა 14° -ზე ნაკლები არ უნდა იყოს. მრავლდება ვეგეტატიურად. სადედე მცენარის დაყოფით და ღეროსეული კალმებით.



Chlorophytum comosum
ქლოროფიტუმი ქოჩორა
ოჯახი - შროშანასებრნი

• 10-15 სმ.

სამშობლო: სამხრეთ აფრიკა. ქლოროფიტუმი მარადმწვანე, მრავალწლოვანი, ფოთოლდეკორატიული, როზეტული, ტუბერიანი მცენარეა. ძირს გადმოფენილ, გრძელ საყვავილე ღეროზე ვითარდება ახალი მინიატურული მცენარე თავისი ფესვებით. ზამთარში მისთვის საუკეთესოა 16°C-ი. უყვარს განათებული ადგილი. მრავლდება ბუჩქის დაყოფით და გრძელ საყვავილე ღეროზე განვითარებული შვილეული მცენარეებით.





Coffea arabica
ყავა არაბული
ოჯახი - რუბიაცეაქებრი

• 10-15-100 სმ.

სამშობლო აფრიკა. 3-5 მ სიმაღლის, მრავალწლოვანი, მარადმწვანე, ფოთოლ და ნაყოფდებეკორატიული მცენარეა. სურნელოვანი თეთრი ყვავილები ვითარდება ფოთლის იღლიაში. კენკრა ნაყოფი, ჯერ მწვანე, შემდეგ კი მუქი წითელი ხდება. მომწიფებას ჭირდება 6-7 თვე. სინათლის და სითბოს მოყვარულია. ზამთარში 12°C-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. მრავლდება თესლითა და ღეროს კალმებით.



Hibiscus roza-sinensis
ჩინური ვარდი
ოჯახი - ბალბასეებრი

• 20-30-50 სმ.

სამშობლო ჩინეთი. ჩინური ვარდი 2,5 მ სიმაღლის, მრავალწლოვანი, მარადმწვანე, ყვავილდებეკორატიული მერქნიანი ნახევრად ხე ან ბუჩქია. გვხვდება წითელი, თეთრი, ვარდისფერი ან ყვითელ ყვავილებიანი, ბუთხუზა და მარტივი ფორმის. მიუხედავად იმისა, რომ ერთი ყვავილის ყვავილობა ერთი დღეა, ეს მცენარე ითვლება ხანგრძლივ მოყვავილედ, მისი კოკრების მორიგეობით გაშლის ხარჯზე. უყვარს კარგად განათებული ადგილები. ზამთარში ტემპერატურა 8-10° -ზე ნაკლები არ უნდა იყოს. უხვი ყვავილობის და ლამაზი ფორმის მისაღებად საჭიროა მისი გასხვლა. განასხვავი მასალა გამოიყენება გასამრავლებლად. მრავლდება თესლით, კალმით, ამონაყრით.



Cissus rhombifolia
ცისუსი რომბისფოთოლა
ოჯახი - ვაზისეებრი

• 10-20-40 სმ.

გავრცელებულია ავსტრალიის, ინდოეთის, ბრაზილიის ტროპიკულ და სუბტროპიკულ ზონებში. ცისუსი მრავალწლოვანი, მარადმწვანე, ფოთოლდებეკორატიული ხვიარა მცენარეა, აღწევს 2-3 მ სიგრძეს. სინათლის და სითბოს მოყვარულია. ზამთარში ეგუება 8°C ტემპერატურას. კარგად იტანს კრეჭვას. მრავლდება თესლითა და კალმით.



Chamaedorea elegans
ხამედორეა ელეგანტური
ოჯახი - არეკასეებრი

• 30-50სმ.

სამშობლო ტროპიკული ამერიკა. 2 მ სიმაღლის, მრავალწლოვანი, მარადმწვანე, ფოთოლდებეკორატიული მცენარეა. ზამთარში ტემპერატურა 12-15°C-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. სითბოსა და სინათლის მოყვარულია. მრავლდება თესლით და შვილეული ამონაყრით.



Havorthia fasciata
ჰავორთია ზოლიანი
ოჯახი - ასფოდელასებრი

• 5-10 სმ.

სამშობლო აფრიკა. 20 სმ-მდე სიმაღლის, მრავალწლოვანი, მარადმწვანე, ფოთოლ დეკორატიული, უღერო, სუკულენტი მცენარეა. გრძელ საყვავილე ღეროზე მტევნებადაა განლაგებული მოთეთრო, მომწვანო ყვავილები. სინათლის და სითბოს მოყვარულია. ზამთარში ტემპერატურა 8-10° -ზე ნაკლები არ უნდა იყოს. მრავლდება თესლით, ფოთლით და შვილეული ამონაყრით.



Hypoestes sanguienta
ჰიპოესტესი თავსისხლა
ოჯახი - აკანტასებრი

• 10-15 სმ

სამშობლო მადაგასკარი. 8-15 სმ სიმაღლის, მრავალწლოვანი, მარადმწვანე, უხვად დატოტვილი ბალახოვანი მცენარეა. სინათლის და სითბოს მოყვარულია. ზამთარში ტემპერატურა 8-10° -ზე ნაკლები არ უნდა იყოს. ფოთლების მკვეთრი შეფერილობა დამოკიდებულია განათებაზე. მრავლდება კალმით, თესლით.

